№ 25 (261)
6 ივლისი, 1930 წ.
ფასი 10 კ.

12 566

ღირსეული პასუხი

— რას მიედ-მოედები?! თქვენი ჩხირკედელაობა ჩვენს კოლექტივებს ვერაფერს დააკლებს. გირჩევნიათ— ჯანს მოხვიდეთ!

არც აქეთ—არც იქით

ლევა კინკლაური ის ბზრიან რაღა უსდა დარჩენოდა მას, თუ არა რომელიმე ოპოზიციისათვის მიმხრობა. და ეს იმიტომ, რომ ის ორი წლის წინად პარტიულ კონფერენციის მიერ არ იქნა არჩეული პარტკომის წევრად.

— როგორ,—გაბრაზებული ამბობდა კინკლაური,— ჩემზე უკეთესი კომუნისტი ვინ არის? მე არ უნდა ვიყო პარტკომის წევრი? მაშ ვნახოთ.

და ის პარტიას ოპოზიციაში ჩაუდგა.

ჯერ იყო და „ტროიკისტობა“ დაიწყო. მართალია, ტროიკიზმის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მარა თავს მაინც დიდ მცოდნეთ ასაღებდა...

— იცით, ვინ არის ტროიკი?—ეუბნებოდა ის თავის ამყოლ-ჩამყოლთ და ტროიკის მარჯვნივ მაღლა აყენებდა.

ტროიკისტების დამარცხების შემდეგ კინკლაურისთვის ხელსაყრელი აღარ იყო „მემარცხენე“ ოპოზიციაში დარჩენა და ოფიციალური განცხადებით გაემიჯნა მას.

კინკლაური პარტიაში პირობით დატოვეს.

— პარტიაში კი დამტოვეს მარა, ვაი ამისთანა დატოვების. ჯერ კიდევ ცალი თვალით მიყურებენ... საკმაოდ არ მენდობიან.—ამბობდა ის

— არა უშავს. ტროიკისტები კი დამარცხდენ, მაგრამ—მემარჯვენეები ხომ გაიმარჯვეს,—აიმედებდა თავის თავს კინკლაური და ფრთხილათ, ისე რომ არავის შეეშინია, მემარჯვენეებთან გაბა კავშირი.

— მოიცა, აგერ მეთექვსმეტე ყრილობა მოვიდეს და მაშინ ნახავთ ვინა ვართ და რაც ვართ! თავმომწონეთ გაიძახოდენ მემარჯვენეები...

კინკლაურიც დაიშედებული „ციურ მანანასავით“ მოელოდა მეთექვსმეტე ყრილობას, რომელზედაც დარწმუნებული იყო, რომ მემარჯვენეები გამოვიდოდენ, წუნს დასდებდენ ძველ ხელმძღვანელობას და ყრილობას მათ ოპორტუნისტულ შეხედულებებს ძიაღებინებდენ.

ამის შემდეგ კინკლაური დაიშედებული იყო, რომ მისი მდგომარეობა პარტიაში განმტკიცდებოდა: შეყვანილი იქნებოდა პარტკომის შემადგენლობაში და შეიძლება მდივნათაც აერჩიათ.

მეთექვსმეტე ყრილობასაც მოვესწარით, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები: ამხ. სტალინის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის და სხვების. ყრილობამ მიესალმენ სხვადასხვა ქვეყნებიდან და კავშირის ყველა კუთხეებიდან; ენერგიულ კომუნისტური ორგანიზაციების და სოციალისტური წარმოებების წარმომადგენლები.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, იყო მემარჯვენეთა „გამოსვლაც“, რომლის შემდეგ „ურწმუნონიც“ კი დარწმუნდენ პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში...

ეგებ იკითხოთ: რაკ ამბობს ეხლა კინკლაური?

რა უნდა სთქვას,—სათქმელი არაფერი აქვს.

ის პარტიაში აღარ არის.

მან ვერ შეასრულა თავისი დაპირება პარტიის წინაშე და გამორიცხულ იქნა მისი რიგებიდან...

ამ მდგომარეობას ის კიდევ აიტანდა, რომ მეთექვსმეტე ყრილობას მისთვის იმედი გაემართლებია.

— რაღა ვარ ეხლა. არც აქეთ—არც იქით! ამბობს კინკლაური თავისთვის და ეძებს ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს.

ეუშბარა.

ისტორიის ფაბრიკა

— თქვენ ნახეთ ჩვენი ახალი ლიმონ-ჩამომსხმელი ქარხანები, ნახეთ ახალი ელექტროსადგური, ნახეთ გიგანტი – სოვხოზები — ბურის ფაბრიკები... ეხლა ჩვენ მივდივართ უმთავრეს ფაბრიკასთან, ჩვენი აღმშენებლობის გულსა და ტვინთან. ჩვენ მივდივართ ამ ფაბრიკასთან სადაც კეთდება ისტორია!

— განა ისტორია ფაბრიკაში კეთდება?

— ის, არსებითად, ყველგან კეთდება... ფაბრიკებშიაც, უამრიებშიაც, დაწესებულებებშიაც, ქალაქებშიაც და სოფლებშიაც. მაგრამ ეხლა ლაპარაკია უმნიშვნელოვანეს ცენტრალურ ფაბრიკაზე, ფაბრიკაზე, რომელსაც აქვს უძლიერესი ენერგეტიკა, ამ ფაბრიკაზე, რომელიც აწვდის ენერგიას ყველა დანარჩენ წარმოებებს...

— უკაცრავად, სიტყვას გიგაწყვეტინებთ... რა ჰქვია ამ ფაბრიკას?

— მას ეწოდება სსკ (ბ).

— როგორ მუშაობს ის?

— აი, შეხედეთ თვით... მოიწვიეთ უფრო ახლოს!

— საკვირველი სასწორით და გამოზომილად მოქმედებს.

— ნეტავ რამდენი კაცი მუშაობს აქ?

— დაახლოებით ერთნახევარი მილიონი.

— ეჰა! და, რამდენადაც მე შემიძლია გაგზომო თვალის გადაგლებით, ყველანი მუშაობენ შეხმატკბილებულად ერთი ტაქტით, ერთ ტონზე, როგორც ერთი ორგანიზმი! მაგრამ, არა... ნება მიბოძე... აი იქ, მარცხნით, პატარა ჯგუფი რაღაცას ხმაურობს და ფუსფუსებს. რა უნდა იყოს იქ?

— ეჰ! ეს ხომ ფაბრიკის გარეთაა. დეკლასიური, რიგებიდან გასული ხალხის პატარა ჯგუფია... და ამითი ადგილები, როგორც ხედავთ, ეხლა შეიქმნა სხვებმა, ნამდვილმა მუშებმა.

— აი იქ, მარჯვნით?... ეს რა არის? რატომ არის, რომ იქ რაღაც ხალხი ხოხავენ, ბოდიალობენ, მძ ... ლებენ ძირს?.. რამე ავარია ხომ არ მომხდარა?



— კაცო, რავა ჩამოგიშვია მაი ცხვირი...
—ე, მუშკოლიდან გამწმენდეს ძმაო...

— არავითარი ავარია არ მომხდარა. ისტორია როგორც ხედავთ იქმნება და სრული სვლით მიდის წინ. ამ ხალხმა კი მოინდომა შეეჩერებინათ ბორბლები და დაეარუნებინათ უკან. და აი ამიტომ ისინი გადაბრუნდენ... დაუცდათ ფეხი წაფერდებაზე ... ჩაცვივდნენ ტლაპოში!

— სასაცილონი ყოფილან!

— არა, არც მთლად სასაცილონი არიან. ისინი საშიში და ეშმაკი ხალხია. რომ დანარჩენები არ ყოფილიყვნენ ეგრე რიგათ მტკიცენი და ფხიზელნი, რომ ფაბრიკას არ ჰქონიყო ძლიერი ენერგია, მაშინ იმათ შეეძლოთ ბევრი ზიანი მოეტანათ...

— მართლა, რა ნაირი ენერგიით სარგებლობს ეს ფაბრიკა?

— მთელ ქვეყნიერებაზე უძლიერესი და დაუშრეტელი ენერგიით: მილიონიან მასების კონცენტრაცია ქმნილ ნებისყოფით! აი, ეხლა დგება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მომენტი; ეს ნებისყოფა განიცდის კიდევ მეტ კონცენტრაციას და დაძაბულობას... აი! საფუძველი ეყრება ახალ თაიგულს, იწყება ისტორიის ახალი ხანა. თქვენ ხედავთ მთელ რიგ განვლილ ეტაპებს. მთელ რიგ კვანძიან ისტორიულ საფეხურებს, რომელნიც შექმნილნი არიან ამავე ძლიერი ნებისყოფის დაძაბულობის მეოხებით. მე-13, მე-14, მე-15? ხედავთ, აი იქ, წინ სოციალიზმის კონტურებს?.. ხედავთ, როგორ სწრაფად და სწორად კეთდება ისტორიის გზა სოციალიზმისაკენ?.. და აი ეხლა...

— ეს რა არის? ახალი ეტაპი? აი სადაც დგებენ ახალ საძირკვლებს... იქ მეხუთმეტის წინ?

— დიახ... მეთექვსმეტე ყრილობა!

(„კრაკადილი“-დან)

1921 წ.

მოვიდენ.

ჩვენები წავიდენ.

გადავსწვიტე — დღიური ვსწერო. სხვა რა საქმე მაქვს! საქონელი გადავმალ-გამოვმალე .დავთარი გაკოტრებულ ვაჭარივით. ასე სჯობია, თორემ...

. . . . . .

ოჰო! ნეპიო?! ეს კარგი საქმეა! გადამალულ საქონელს ისევ დავაწყობ მაღაზიაში და ვივაჭრებ. ბევრ მოგებას ვინ ჩივა ამათ ხელში! მხოლოდ სახარჯო, სხვა არაფერი მინდა. ასე თავს გავიტან ამ ორ თვეს და მერე... მერე მოვლენ ჩვენები, აპა, რას იზამენ! აკი დაიბარეს — მალე დავბრუნდებითო. ხომ არ მოიტყუილებენ! ტყვილი რაც ამდენხნსაც იტყუილეს, ისიც ეყოფათ.

1922 წ.

არა უშავს. ამ ნეპმა სულზე მოგვისწრო, თორემ წასული იყო ჩვენი საქმე. მართალია: გადასახადები ბლიამად შემოგვაწერეს, მაგრამ რა გაეწყობა! მაშ რისი ბოლშევიკები არიან!

კოოპერაციას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, მაგრამ არაფერი გამოყავთ. სანამ კოოპერაცია გაძლეირდებოდეს, ამასობაში ჩვენებიც მოვლენ.

1923 წ.

— ეს ჩვენ გვეპირიაო! — და მაღაზიიდან გამომაბრძანეს. წაიღონ ეს მაღაზია, ხოლო სხვა მაღაზიებს ნუ წამართმევენ.

ერთი სიტყვით ისე გამოდის, რომ ჩემს ვაჭრობაში მონაწილენი არიან. გადასახადებით გვერდები შემითხელეს. კოოპერაციაც ხომ ძლიერდება!

1924 წ.

დავთრები დამალული მაქვს. ანგარიშს ჩუმად ვაწარმოებ, ცოლთანაც კი არაფერი წამომცდენია... მაშ საიდან გაიგეს სისწორით ჩემი შემოსავალი და წლიური ბრუნვა, რომ ამდენი შემაწერეს გადასახადი? ეჰ! თუ ასე წავიდა საქმე, მალე მომიწევს მაღაზიების მიკეტვა. ანდა რა დამრჩა, ხუთში მხოლოდ ორი.

კოოპერაციაც არ იკმარეს. ათას ბანკებს და სავაჭრო ორგანოებს აარსებენ, თითქოს არც კი ფიქრობენ წასვლასო.

1925 წ.

„داااااا

„ჯერ ჩვენ ვსადილობთ!“

სასადილოს მსახურნი (მოსადილეებს):—დაგვაცადეთ სადილის ჭამა!.. ჯერ ჩვენ ვსადილობთ!

სიტყვა მუშკოლოპის მწვანილზე

არის „მუშკოპი“ უძრავ-მოძრავი
და განსხვავებაც არის მათ შორის:
ერთია—სახლი, როგორც რომ ზვავი,
შორითვე რომ სჩანს სიფართედ გორის.
აუარება რომ გააჩია
თარო და მაზედ—ჩეჩუტ-მეჩუტი:
საშველ-სასმელი, მსხალი თუ ბია,
მზერით მუცელიც რომ დაგეჩუტვის.
და დახლიდარი, კაცი ზრდილობის,
რომ გხვდებათ, როგორც ვინმე მოკეთეს,
მძლევი სურსათის თუ მწვანილობის,
თვალი რას ნახავს ამის უკეთეს?!
ხოლო ყურები რაღას მოისმენს
უფრო უთაფლეს სიტყვა-პასუხებს,
რასაც ის კაცი მკერდიდან იდენს
და ოქრო ბაგით მოაჩუხჩუხებს?!.
და სტკბები მარტო ამის დანახვით,
და ძღუბა ხარბი თვალი და გული,
დამძიმებული ნივრით თუ ხახვით,
სახლში რომ შეხვალ შეხავრებული...
რადგან ამ ხავრსა, ჭკნობას და ზრობას
ატარებს უკვე შენი მწვანილი,
დებით რომ ქმნიდა აქ უაზრობას,
შვიდი დღე ბახჩით შემოტანილი...
და დახლიდარი რომ არ ჰფიქრობდა
ზედ არც წყლის დასხმას, არც ყინულთ დებას,
თუმცა კი წყურვილს ის წყლით იცხრობდა
და ყინულითაც—ზაფხულის გზნებას...

ახლა—მეორე: ჯაგვია, ტაჩკა,
შიგ ვირ-შებმული, მოძრავი, სწრაფი,
რომ ალაგია ზედ მთელი ბახჩა:
ქორფა მწვანილი, თუ კიტრი, თქლაფი...
და ბახჩოც, კაცი ტაჩკის გზირივით,
რომ აყუდია ამ ჯაგვის გვერდით,
სწრაფია ხოლმე ისიც ვირივით,
დიდის ყურებით და ფართო ხედვით...
თუ გაჯიუტდი და არ ეთანხმე,
რასაც ის გეტყვის ან მოგაწოდებს,
გადაგდინდება მსჯელობის თავ-მთხლე,
წასულს ის ვირიც კი შეგიცოდებს!
და ბახჩოს ენაც სიტყვას მოსწრებულს
მოგიჭრის ისე, ვით მაკრატელი:
მიითვლის შენგან ის ფულს, ბოსტნეულს,
ვით გზირი, და არ, ვით გამყიდველი!..
და ამბობ გულში: „წესი კარგია
„ბეზზაპროსობის“ თუ მტკიცე ნიხრის,
მხოლოთ არ ვიცი, ვის რად არგია,
თუ რომ ფულს კაცი დამპალში იხდის!
მუშტარს შეეძლო იგი ეყიდა
უფრო ახალი, ქორფა და ნორჩი,
გამყიდველს ცუდათ რომ არ ეყვირნა
და არ მიეზრო ძირი თუ ფოჩი!..“
ვიცი, რომ ჩვენში უხვად იზრდება,
ხილია იგი თუ ბოსტნეული,
მხოლოთ დამპალით ვინ გამდიდრდება?
ვის არგებს უგზოდ მიმოპნეული?!.

ჭაზირა.

მხატვრების ბრიგადა მაუდის ქარხნისაკენ



—ყოჩაღად, ამხანაგო, ქარხანამდე ცოტა გზა დაგ ჩა, განვაგრძოთ სვლა!
— კი, მაგრამ ცურვა ყველამ რომ არ ვიცით?

ᲐᲠᲖᲐ ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ

დატვირთულო საქმეებითა ქვეყნისათა, ძია ტარტაროზ!

მოვიდრეკ რა მუხლსა ჩემსა წინაშე ფერხთა შენსა, გიამბობ ამა ამბებსა სამარცხვინოსა, რომელნიცა გვევლინების მახინჯთა ამა ქვეყნისათა ალილუია ამინ. რამეთუ აღარ დაადგა საშველი, შეგნებასა და გამოსწორებასა მათსა, რომელნიცა კატასტროფებითა მისითა ანადგურებენ მოდგმასა ჩვენის ქვეყნისასა ალილუია.

რამეთუ ადამიანი არა არს ესე მწვანილი ბოსტანისა, რომელი იგი ამოიყრების ჟამსა შემდეგისა,—არამედ იგი გახდების შეაახრავად მატლებისა და ჭია-ღუისა ამინ. ესე რაინდები არიან პროფესიითა მისითა: ვატმანები, შოფერები, მემანქანეები და მეეტლეები, რომლებისა წყალობითა ნადგურდებიან არამც თუ ხანში შესულნი, არამედ ახალგაზრდებიცა ამა ქვეყნისათა ალილუია ამინ.

რამეთუ შიგა და შიგ მოიპოებიან ერთგულნიცა, რომელნი არა გვანან უვიცებსა, ერთგულებითა მისითა სამ სახურისათა იცილებენ ესე კატასტროფებსა და იხვეჭიან სახელსა სახელოვანსა ალილუია ამინ.

რამეთუ ესე აღმართავდე შანთსა გახურებულსა და მოზდრეკდე ბრიყვთა, რათა მიბაძონ ერთგულთა, რათა არ ექნეს ესე აღგილი კატასტროფებსა ამა ქვეყნისათა ამინ.

ოდეს ესე ჭაბუკები მოსთურგნო კანონითა შენისათა, განემართე კლუბსა მას ჭიათურისასა და იხილე გვამი ესე ჩაფიძისა გრიგოლისა, რომელმაცა საქციელითა თვისითა ჩირქი სცხო არამც თუ თანამშრომელთა ესე კლუბისათა, არამედ, პატიოსანთა ამა ქვეყნისათა ამინ.

რამეთუ ესე საქციელი კანონითა საბჭოისათა არამც თუ მიეტოების, არცა შეინდობის, რომელმაცა თვისსა ცოლსა და სამ შვილსა გზა უჩვენა ქუჩის პირსა, რომელნი ანაცვალა ასულსა მას ლეჟავასა ღუნიასა ზედა ამინ. რამეთუ ორთავ არა იციან რასა სჩადიან ბოროტებითა მისითა; მოავლინე რისხვა შენი გოგრასა მათსა და ცოდვილი ესე ჭაბუკი დაუბრუნე ოჯახსა ძველსა და სპეტაკსა პატიოსნებითა მისითა ალილუია ამინ.

რამეთუ გამოსცემდე კანონსა დასაფრთხობლად უვიცთათა, რომელნი ჭუჩაში ყრის თვის ცოლშვილსა, და მოქმედებითა მათითა ნადგურდება ოჯახნი, რომელნი არა არიან ესოდენ ტანჯვისა და წამებისა ღისნი. ალილუია და კირილეისონ ამინ.

კირილე საფირჩხიელი.

ტფ. ცენტ. კლინიკაში

—ხომ ხედავთ ავადმყოფი ცუდათ არის! დაუძახეთ უქიმს!
მომვლელი: — გამოუვავრდება, არ შემიძლია. მას ეხლა სძინავს და ტკბილ სიზმარშია!

ღია წერილი საკუჭნაოდან

ძვირფასო მუშკოოპო!

ჩვენ გახლავართ ჩვეულებრივი მაენებლები. ჩვენი სახელია თაგვი ვირთხა და სხვა ამგვარი.

არ ვიცით, რითი გადაგიხადოთ ამდენი სიკეთე: შენი კოოპერატიული საწყობები, მაღაზიები, ფარდულები და საკუჭნაოები რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ალარ ვიცით, რა მოგვივიდოდა. ან შინშილი დაგვხოცავდა, ან ჩვენ თითონ დავიხოცდით თაგვებს შიმშილისგან შემშვირვებულნი.

ახლა კიეერც ერთი ჩვენგანი ბელს ვერ დაემდურება: შენი საავაჭრო მაღაზიები, ძვირფასო მუშკოოპო, ჩვენი ორსებობის მუდმივი და დაუშრეტელი წყაროა. და მერე როგორი წყაროა: აქ ჩვენთვის ბლომად არის ყოველგვარი ხორცეული, თევზეული, ხილეული, ბოსტნეული და მრავალი სხვა ტკბილეული.

გარდა ამისა, რომ ჩვენ ვანადურებთ მოქალაქეთა სურსათ-სანოვაგეს, ჩვენ ვშხამავთ ყველაფერს, მაგრამ შენ, ძვირფასო და უდარდელო მუშკოოპო, ერთხელაც კი არ მოგსვლია აზრათ თუნდაც ოდნავი ბრძოლა გამოგეცხადებინა ჩვენთვის. არა თუ ბრძოლა, ჩვენი—მაენებლების შიმართ შენ ჩენ ასპროკენტიან ოპორტიუნისტობას და მასთან შემარიგებლობას.

კეთილო მუშკოოპო! შენ არასოდეს არ დაგიდგამს ჩვენთვის არც ერთი მახე, არასოდეს გამოგიშვია ჩვენს წინააღმდეგ კატები, არც ერთი არა თუ ჩემპიონი, არამედ ერთი ფეხმოტეხილი მჩხავანა კატაც კი და რაც მთავარია, აზრადაც არ მოგსლია დაგედგა ჩვენთვის თუდაც ერთი მასხალი დარიწაანა, ან სხვა რომელიმე შხამი. არ ჩაგიდენია ეს, რადგანაც გული რაინდის გაქვს და ვერაგულათ ჩვენს დახოცვას ერიდები.

რა უყოთ, რომ ჩვენ თაგვებათ და ვირთხებათ დავიბადეთ! ჩვენ ხომ ვასაღებთ შენს საქონელს ისე, როგორც არც ერთი თქვენი თანამშრომელი და თუ ფულს ვერ გაძლევთ, არა იმიტომ რომ არ გესურს, არამედ, გვერწმუნე, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩენ უბრალო მომაკვდავნი—ბელლის მაენებლები ვართ და ხელფასს არც ერთი ჩვენგანი არ იღებს.

შენს მაღაზიებში მუშაობა, ჰოო, ღირსო მუშკოოპო, ჩვენ მივაჩნიეთ თაგვურ საზოგადოებრივ დატვირთვათ და ვაწარმოებთ შენი მაღაზიების განტვირთვას.

მაშ ეგრე, მომხმარებელთა გულის მოკვლის, მაღაზიების განტვირთვის და თაგვ-ვირთხებთან შემარიგებლობის ლოზუნგის ქვეშ მომავალშიც ეგ ლოიალური პოლიტიკა გაატარე ჩვენს მიმართ.

მიიღეთ და სხ.

ტფილისის მუშკოოპის საავაჭროებშიში გაერთიანებულ თაგვ-ვირთხათა საზოგადოების მონდობილობით:

თაგვთმთავარი ვირთხაძე.

წერილი დედას

სალამი დედი, გწერს შენი მირმზო,
შარშან გულიდან, რომ მოიშორე.
მოკითხვა ტასოს, ეპრაქსის, ნიკოს,
ედუკოს, კატოს და ნიკიფორეს,
გავიგე ჩვენში არის არტელი,
და მამაჩემი გამხდარა წევრი;
გუშინ აქ ვნახე ხაქმის მმართველი,
და აღმასკომზედ მაცინა ბევრი.
ეგეგმ კაპიკი ფული არ მომცა,
ბოლოს დამიწყო მასხრად აგდება.
მითხრა ორი წიგნი გამოსცა,
მაგრამ წამო[illegible] ალარ საღდება,
შენი დის შვილი მივაგენ აქ მე
და ხაწყალს დანა არ ულებს პირსა;
თურმე ოთხ ქალთან ქონია ხაქმე,
და ოთხად ყოფენ მის ჯამაგირსა.
ისე დაქროლავს კონკა და ოგტო,
როგორც მგლისაგან ოამფრთხალი ვაცი.
დღეში სულ ცოტა რომ ჩამოვთვალო,
შოფერებს გაქვთ ორმოცი კაცი.
მაგრამ ამ ტფილისს სულ ემატება
ბევრი მოდის და ბევრიც მიდიან;
ბაკტების რიცხვი მატულობს, მაგრამ
კრიზისი ბინის ისევ დიდია.

—ძველოღლი.

კოოპერატივის გამგე (ცოტა რამ სხვასაც არგე)

ივლისის პაპანაქება დღეა. თუმცა დილაა, მაგრამ ეტყობა დიდი სიცხე უნდა დაიჭიროს, რადგან კოოპერატივის გამგე ალმასხან ყლაპაძე სიცხისაგან მეტის-მეტად გულშეწუხებულია, საცვლების ამარა ის სასადილო ოთახში მოსჯდომია საყინულეს და ზედი-ზედ ყლაპავს ცივ ლიმონათს. ალმასხანი სიცივეს უფრო იტანს, ვიდრე სიცხეს. ამას მიზეზი ის გახლავთ, რომ მეტად ჩასუქებული და ჩაოგვალებული მოყვანილობის არის.

აქვე საყინულეზე უდგას ტელეფონი. საქმის კაცია და ვინ იცის რა დროს გამოუძახებენ. ის ერთგული კაცია.

— ვინა ხარ? მაღაზიის გამგე? კირილე შენა ხარ? ჰო, კირილე კარაქი არის: არის? ერბო? ერბოც არის? ყველი? ყველიც. ჩემო კირილე ჯერ არავის მისცე ეხლავე მივაკითხავ კესარიას და თუ ცოტა გვაქვს, ჩვენ უნდა გამოგვიგზავნო.

— კესარია! კესარია!— გასძახა გამგემ მოსამსახურე ქალს.

— რა გნებავს, ბატონო!—მოისმა შორიდან კესარიას ხმა.

— კესარია, შენ გაზდას, ნახე რამდენი გვაქვს კარაქი, ერბო, შაქარი და სხვა.

— კარაქი ერთი ფუთი იქნება,— ცოტა ხნის შემდეგ გამოსძახა კესარიამ, ერბოც ამდენივე, შაქარი ბევრი გვაქვს. ყველი კი ცოტა, ასე ნახევარი ფუთი იქნება.

ალმასხან ისევ ტელეფონს გადასწვდა.

— კირილე შენა ხარ? გეთაყვა კირილე ერთი ნამცეცი აღარც კარაქი მაქვს, არც ერბო, არც შაქარი და არც ყველი. გეთაყვა ეხლავე გამომიგზავნე ერთი ფუთი კარაქი, ერთი ფუთი ერბო, ერთი ფუთი ყველი და ამდენივე შაქარი. თუ სხვა რამეა ხელწამოსაკრავი ისიც ნუ დაგავიწყდება. ხომ იცი კაცნი ვართ, მომარაგება არ გვაწყენს. აგრე! ორი საათის შემდეგ კაბინეთში ვიქნები და თუ საქმრო ვიქნე იქ შემოდი.

თორმეტ საათამდე იგრილა გულმუცელი ცივი წყლით ალმასხანმა და შემდეგ ავტოთი მიგორდა თავის კაბინეთში. კაბინეთში ძალიან ცხელოდა, ამიტომ პერანგის ამარა მაუჯდა მაგიდას.

— წკრრრრ! წკرررر! გაისმა ტელეფონის ხმა.

— ალლო! ჰოო! კოწია ხარ?... ვარგი! გამოგზავნე ვინმე და გადაადებინებ შენთვის ნახევარ ფუთს. ერბოც გინდა? კარგი! შაქარი? კარგი. ეხლავე ვუბრძანებ და გადასდებენ. ბაბულია როგორ არის? საით მიდიხართ ამ ზაფხულში? ქისლოვოდსკაში? კარგია? კარგი! ნახვამდის.

— ალლო! ვინა ხარ? ოჰ, მარგარიტა შენა ხარ? გამარჯობა. რაო? შენთვის ყველაფერს გავაჩენ. კარაქი? ერბო? ყველი? შაქარი? რაც გინდა ყველაფერს ვიშოვი. გადავადებინებ ნახევარ ფუთს ყველაფერს. გამოგზანე კაცი და წაიღე. ჰო, კარგი! კარგი! ეხლავე გავსცემ განკარგულებას. როგორ გეკადრება, როგორ დამავიწყდება. ხვალ უსათუოდ გვნახე. ნახვამდის.

კაბინეთში მაღაზიის გამგე შემოვიდა.

— ამხანაგო, ალმასხან, წევრები თავიანთ წილს ერბოს, კარაქს და შაქარს თხოულობენ. დავურიგო?

— ხომ არ გაგიჟდი კაცო? რას ამბობ? ან ისინი ხომ არ დაგიჟდენ? რა დროს კარაქი და ერბოა. უთხარი მოითმინონ და ამ თვის გასვლამდე მიიღებენ. უთხარი ჯერ არ მიგვიღია და ჩქარა მივიღებთ თქო. მორჩა და გათავდა. კირილე გეთაყვა ერთ საათში მოვლენ ჩემი ნათესავები, აი ესენი,—ალმასხანმა ქაღალდი გადასცა,—დაუმზადე ნახევარ ნახევარი ფუთი კარაქი, ერბო, ყველი, შაქარი და მიეცი. შენც წაიღე რამდენიც გინდა.

კირილე კმაყოფილი გამოვიდა კაბინეთიდან და კაბინეთში დარჩა კმაყოფილი გამგე ალმასხან ყლაპაძე, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გაუდგა გზას... ...გამსახლისაკენ.

კიკოლა.

— ვაჰ! რა ფუხლაფეხ მომდევს ეს ოხერი?! შარშან ცენტრიდან ამ-დგა ფეხი; ეს-ა გარე-უბანშიც მომდგა! მაშ სად ჯანდაბაში წავიდე?!

ჩემი აღსასრული

წამომტკივდა თავი და კისერი, წამომიხერა მუცელი, დამეკარგა ჭამის მადა (თუმცა რიცა მადა მქონდა — საჭმელი არ გამაჩნდა საძღომად), მომცა ხიცხე და ერთ მშვენიერ მაისის დილით ლოგინიდან ადგომა არ მომეხასიათა.

მთელ იმ ხნის განმავლობაში, რაც პროლეტარიატის დიქტატურის ერთი პასუხისმგებელი მუშაკთაგანი გავხდი, ჩემ ცოლს არ ახსოვდა შემთხვევა, რომ საღამოს ადრე დავწოლილიყო და დილით გვიან ავმდგარიყო. ამიტომ ამ გარემოებამ ძრიელ შეაფიქრიანა ის და ციბრუტივით დატრიალდა ექიმების მოსაწვევათ.

ვინაიდან ივანე გომართელის წინანდელი დრო არ არის ეხლა, — როდესაც ყველანაირ სატკივრებს ციებ-ცხელების დიაგნოზს დაუსვამდა ერთი ექიმი, — ამიტომ საჭირო იყო მოწვევა რამდენიმე სპეციალისტების: თავის, ყელის, მუცლის, სიცხის, მადის და, სხვათა შორის, დოსტაქრისაც, ყოველ შემთხვევისათვის.

რადგან მე ისეთ ფრეს ვეკუთვნოდი, რომელიც თავაზიანათ ეპყრობა სპეცებს, ამიტომ აუცილებელი იყო ექიმების მოსაყვანათ ავტომობილი.

დავარეკე ერთ გარაჟში, რომელშიდაც თვმოყრილი მეგულებოდა მუდამ ათეული ავტომობილები, და ვთხოვე რამდენიმე წუთით ერთი მაოგანი, მარა გარაჟის გამგემ ცივი უარი გამიცხადა:

— თითეულ მანქანას ცალკე პატრონი ყავს და ამ პატრონის ნებადაურთველათ არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია ავტომობილის გარაჟიდან გამოწვევაო.

ასეთი პასუხი ძლიერ შეტოშა, რადგან გარაჟში მდგომ მანქანების პატრონები არ მიმაჩნდა კერძო მესაკუთრეობის დამცველებათ. ისინი წინააღმდეგი იყვენ მხოლოდ ჭათამ-ბატ-ინდაურების კოლექტივში გაერთიანების და არა მრავალ-ძალიან ტეხნიკურ მანქანების.

მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელსაც არ გაგდიმოდა ძვალ-რბილში კერძო მესაკუთრეობის გრძნობა და დამითმო ავტომობილი.

მოიყარეს თავი საუკეთესო ექიმებმა, გამშინჯეს და შეკნეს თათბირი (რომელსაც მათ ენაზე კონსილიუმი ჰქვია). ითათბირეს, ითათბირეს და, რადგან ვერ შეთანხმდენ დიაგნოზის დასმაში, ყველა მათგანმა გამოიწერა თავისი სპეციალობის მიხედვით შესაფერი წამალი.

მეგონა დოსტაქარი ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში, რადგან გასაჭრელი მუწუკი არაფერი მქონდა გამოსხმული. მარა, დახეთ იმის ოსტატობას! გადაჭრით მოითხოვა თმისა და წვერ-ულვაშის გაპარსვა.

სანამ აფთიაქიდან წამლებს მოიტანდენ, რომელთა შემადგენლობა რეცეპტებს არ ეგუებოდენ და რეცეპტები — გამომწერ სპეცებს, სანამ მათ ხელმეორეთ შეამოწმებდენ აფთიაქში, მანამდე კარგი დიდი ხანი გავიდა, — თავის და ყელის ტკივილმა მიმატა, სიცხე უმალლეს წერტილამდის ავიდა და სატკივრების შემადგენლობა ოჯახის წევრებზე გადავიდა.

სახლში ახალი საავადმყოფოს გახსნას ვამჯობინე არსებულით სარგებლობა და გადავსწყვიტეთ საავთმყოფოში წასვლა. ამისთვის საჭირო იყო საჩქარო დახმარების ეტლის გამოძახება. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს შეცდომით ეწოდება ეს სახელი.

საჩქარო დახმარების ერთ წერტს სამი დღე-ღამეა, რაც ტელეფონი გაფუჭებია და ამ საქმეში თავისთვის ვერ უშველია, — ეხა სხვას რას დაეხმარება ის და ისიც საჩქაროთ!

—

მეორე წერტის ტელეფონი თუმცა მოქნედებდა, მარა თანამშრომელთა შემადგენლობის შესაფერი ორგანოები არიან, ალბათ, მოკლებული მოქმედების უნარის და აქედანაც არაფერი ხეირი გამოვიდა თავის დროზე.

საჭირო შეიქნა ტელეფონით ჯანმრთელობის განყოფილებისთვის მიმართვა, რომლის ტელეფონი გაფუჭებული არ იყო, მაგრამ მის განთავისუფლებას მიღაცას მიერ [illegible]ებისაგან საშველი აღარ დაადგა.

მერამდენეჯერ დარეკას შემდეგ სადგურმა შეცდომით მეც შემაერთა ამ დაკავებულ ტელეფონთან. არ არის კარგი სხვისი ლაპარაკისთვის იდუმალათ დაყურება, მარა რადგან მაინტერესებდა, რას გამო იყო გამოწვეული ჯანმრთელობის განყოფილების ტელეფონის ასე ხანგრძლივათ დაკავება, აღარ მოვერიდე მიღებულ წესის დარღვევას. გამოირკვა, რომ ჯანმრთელობის განყოფილების ერთი ჯანმრთელი თანამშრომელი ებაასებოდა მეორე რომელიღაც დაწესებულების თანამშრომელს იმის შესახებ, თუ როგორ გემოიანათ გაატარეს დროება წინაღამით ერთად და რა კარგი იქნებოდა, თუ კი ერთხელ კიდევ გაიმეორებდენ მას გამგის ნადირობიდან დაბრუნებამდე.

როგორც იყო გაათავეს მეგობრებმა სასიამოვნო მოგონებებზე ლაპარაკი და ჯერი ჩემზე მოაღწია. შევეეედრე ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომელს, აღმოეჩინა დახმარება ჩემთვის საჩქარო დახმარების ეტლის მოწოდების საქმეში. დამპირდა, მარა ალბათ წარსულის ტკბილი მოგონებებით ჭონდა მოცული აზროვნება და ამიტომ დაავიწყდა დავალება.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოვახერხე შეერთება საქმის მართველთან. ისიც დამპირდა, მარა შესრულება ვერ მოახერხა, ალბათ.

იძულებული გავხდი ჯანმრთელობის კომისარისთვის მიმემართა ტელეფონითვე დახმარებისათვის. ალბათ მისი გავლენით იყო, რომ რამდენიმე საათის შემდეგ დამირეკეს იქიდან, სადაც ტელეფონი არ იყო წამხდარი და მომთხოვეს ანკეტის შევსება: თუ რა მაქვს მოტეხილი, ან რით ვარ მოწამლული და სხვა ასეთები.

ესეც ერთი ხათაბალაა, რაღა! ანკეტების შევსება ჯანსაღს მეზარება ჭირივით და ახლა რა შემავსებიებს, როდესაც სიცხე ორმოცამდი აღწევს!

— ყველაფერი დამტვრეული მაქვს, ამხანაგო, და არ შემიძლია დაწვრილებით ჩაგოგითვალოთ. მომეშველეთ ჩქარა!

მეგონა, ამის შემდეგ საჩქაროთ გამოცხადდებოდა ეტლი, მარა მოლოდინი გამიცრუვდა, — ის არსად სჩანდა.

სიცხემ, თავის და ყელის ტკივილმა უზომოთ მიმატეს. ამათ კიდევ გაუძლებდა კაცი, მარა მადა, — არამც თუ ჭამის, არამედ ყველაფრის, — სრულებით დამეკარგა.

ყოველივე ამაებს კიდევ ხელი შეუწყო ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ: მიმდინარე პარტკონფერენციაზე, რომელსაც ვერ ვესწრებოდი პირველათ ავათმყოფობის გამო, თურმე „დამუშავება“ დამიწყო ერთმა დელეგატმა, რომელიც პირველათ ესწრებოდა პარტკონფერენციას, — წინანდელ კონფერენციების დროს მას ჯერ კიდევ არ ჭონდა მ[illegible]ფიქრებული და გადაწყვეტილი პარტიის წევრობა. მისი სიტყვით, მე, თურმე, მოვსწყდი მასებს, გავბიუროკრატდი და აღარა ვარ ღირსი კომუნტეტის ახალ შემადგენლობაში არჩევის.

ამას ზედ ერთოდა კიდევ ის მდგომარეობა, რომ ჩემს ბინაზე თვალი ეჭირათ საბინაო ამხანაგობის გამგეობის წევრებს, რომლებიც ახლათ იყვენ არჩეული და ჯერ ვერ მოწყობილიყვენ შესაფერ ბინებზე.

ასეთმა შინაურმა და გარეშე მოცულობამ მაიძულა გადამეწყვიტა მართლა ჩამოვშორებოდი მასებს.

გავაზმორე, დავამოქნარე, დავწევი პირაღმა, დავიკრიფე გულზე ხელები, დავხუჭე თვალები და გავაჭიმინე ფეხები.

მორჩა და გათავდა! აღარც საჩქარო დახმარების ეტლი მინდა, აღარც ექიმები და მათი წამლები, აღარც „დამუშავება“ და არაფერი!

მაშ ეს არის აღსასრული, რაღა!

ს. თ—ია.

ოპერაცია—კოოპერაცია

— ან-და როგორ მოინელებდა, როცა მთელი კოოპერატივი მუცელში ჰქონია!

— უი, ქა! რა ანგელზივით მშვენიერი ცოლი შეგირთავს! ბედნიერი ხარ სწორედ!
— არა! ის ჩემი ცოლი არ არის!
— მადლობა ღმერთს! კინალამ გული გამისკვდა, ვაი თუ ეს მახინჯი ჩვენი ვანოს ცოლია-თქო!

ქუთაისის პროლეტმწერალთა წრეში

კვირკელია: — ასე, ამხანაგებო, ჩვენ ალმანახს უთუოთ გამოვცემთ ამ ერთ თვეში. ერთ თვეში თუ არა, ორ თვეში, ან სამ თვეში მაინც. ეხლა ამხანაგებო, რადგან მოშზსენებელი [illegible] მოვიდა, ლექსები გვეძნება, წაეიკითხოთ და გავარჩიოთ. ჭანტურიშვილო, წაიკითხე შენ შენი ლექსი.

ჭანტურია (კითხულობს): — **კაცი ანდამატი".**

მიწა შემდგარი ცერზე...

კახაძე: — მეიცა, მეიცა, ცერზე რა უნდა მიწას, კაცო?!

შავგულიძე: — მზის ჭერეტა მოუნდა ალბად!

თევანიძე: — **პოეტური გამოთქმაა, მეტაფორა.**

ურაგანიძე: — **მეტაფორა კი არა, ჰიპერბოლაა.**

ჭანტურია: — **რა ვიცი რაია. მაცალეთ ცოტა.** (ამთავრებს).

კვირკელია: — **შემდეგს წაიკითხავს... ვინ წაიკითხავს კიდო?**

ყველა: — **შენ წაიკითხე, ერთხელაც არ წაგიკითხავს.**

კვირკელია: — **მე, ამხანაგებო, პროზის დარგში ვმუშაობ.**

ხმები: — **პროზა იყოს, წაიკითხე.**

კვირკელია: — **სამწუხაროთ არ წამომიღია, ურაგანიძე, წაიკითხე.**

ურაგანიძე: — **არა მაქვს თან.**

ხმები: — **ვიცი გაქვს, წაიკითხე, წაიკითხე.**

ურაგანიძე: (**კითხულობს**).

საუკუნოების ინტერვალებში
პოეტები ქებას ასხამდენ
დიდ ადამიანებს...

ჯიბლაძე: — **მე, როგორც კრიტიკის დარგში მომუშავემ, უნდა განვაცხადო, რომ ეს ლექსი დაწერილია მემარცხენეების ძლიერი გავლენის ქვეშ.**

ურაგანიძე (**აღელვებულია**): — **მისთვის არ ეკითხულობდი. — ტროცკისტიც კი გამოიყვანა.**

ჯიბლაძე: — **მე ლიტმემარცხენეობაზე გელაპარაკები.**

ურაგ: — **მემარცხენეობა — მემარცხენეობა. შენ კი კაცმა მარჯვენა ხელით უნდა ამოგართვას ენა.**

კვირ.: — **კარგი, დაწყნარდი, თევანიძე წაიკითხე.**

თევ.: — **მე პროზის დარგში დავიწყე მუშაობა, პოეტობაში ხეირი არაა; სეზონი გაუვიდა.**

კვირ.: — **კახაძე, წაიკითხე.**

კახ.: — **ერთი მაქვს, 1924 წ. დაწერილია**

ხმები: — **ახალი, ახალი წაიკითხე.**

კახაძე: — **ახალი ლორთქიფანიძისაა, მე არ დამიწერია.**

კვირ.: — **ცხადაძე.**

ცხად.: — **მე პოემა მაქვს.**

ხმები: — **არ გვინდა, არა. ჯერ შენ წაიკითხე და მერე.**

კვირ.: — **ისიანი.**

ისიანი (**კითხულობს, შემდეგ არჩევენ**).

კახ.: — **თემა აქტუალურია, დამუშავება აკლია.**

კვირ.: — **ნაცვლიშვილო, წაიკითხე.**

ნაცვ.: — **მე, ამხანაგებო, ლექსი არ წამომიღია, მარა რაღაც ასეა საქმე, ზეპირათ ვიტყვი** (**კითხულობს**).

—კვირკ.: — **შავგულიძე.**

შავგ.: (**კითხულობს**).

„წითელ დაფაზე"
მკერდი შრომაში ნაქანდაკია
დინამოებით ვნება აშლილი...

(**შემოდიან: იამანიძე, გიასელი, ხობისპირელი, ასათიანი და სხვები**).

კვირკ.: — **ამხანაგებო, ჩვენი პირველი თაობა მოვიდა, დაუთმეთ სკამები.**

იამანიძე: — **დასაჯდომათ არა გვცალია, ლექსები უნდა წავიკითხოთ თეატრში. კვირკელია, წამოდი.**

კვირკ.: — **მოდიავარ, ჩემს მაგივრათ ამ ჭანტურიშვილს ვტოვებ** (**მიდიან**).

ჭანტ.: — **არ შიმძღია, მეც მოვალ.**

ბახჩო (**შეუმჩნევლად შემოდის და ეკითხება**): — **თქვენ ხართ პოეტები?**

— **ჰო. რა იყო, რატომ გიკვირს?**

ბახჩო: — **ისე, თმით თუ შეგატყობთ კაცი თორემ...**

— **თორემ რა?**

ბახჩო: — **თორემ რა და რაც ამ წერილით მინდა ვსთქვა** (**ჩაილაპარაკებს და სწერს ამ წერილს**).

— **ბახჩო.**

ვაიმე, ფულებო!

— ვაიმე, ვაი, ეს რა გიჭია შვილო, შე არ დასარჩენო? რად აანთე ბუხარი, ა!— ასტეხა წივილ - კივილი მართამ და თავში წაიშინა, როცა წყაროდან დაბრუნდა. მიკარდა, ანთებულ მუგუზლებს დაუწყო გამოყრა, ხელებიც დაიწვა, მაგრამ ფულები მაინც ვერ გადაარჩინა.

— შემცივდა ცოტა, და... მერე და ბუხარში რომ არ შეგვენახა, სხვა ადგილი ვერა ნახე? — მიუგო შვილმა, რომელიც შეზარხოშებული იყო გუცას დუქანში.

— მერე და შე ლოთო, რომ ვერსად დაგიმალე, ყველგან მიგიტანდი, მეძებარს სულ-თქვა გაქეს.. ვაიმე, ჩემი ლამაზო ჩერგოლიანებო ჩემო დალუპულო ოცი თუმანო!

— ჰო, და აგრე უნდა, წუწუკაჭი რომ ხარ. აკი ამბობდა ალარა მაქვსო.

— შავი დღისათვის მქონდა, შე პირგაშვებულო, აგრეც არ ვაუთენდები ხვალ

დილა ამ კულაკ კიკოლას შენი გასულელებისათვის, და ჭირი შეყრია იმ გუცას, რომ აქამდის, არ ამარგეს აქედან. ან რას აყოლიხარ, შვილო, კიკოლას! არ იცი ამისთვის გათრობს, გაპატიებს, რომ თავის დუდუკზე გათამაშოს? აგერა, არტელიდანაც რომ გამოგიყვანა და ისე თავის ხელში შემყურე გიგზავდა. ან რა ხეირს მოგცემს ეს ღვინის სმა. — არც იცი, რომ ყველა ავადმყოფობა, ავკაცობა, სიღარიბე და ღვინის აყოლვის ბრალია? ვაიმე, ჩემო ლამაზო ფულებო! ვაი, ვაი!

— რა დაგემართა, დედაკაცო, რა გაღრიალებს? — შეეკითხა გაკვირვებული მეზობელი ქალი, ხმაური რომ გაიგო და შემოეარდა.

— რა და ფულები დამიწვა ამ არგასაზდელმა ბუხარში...

— მერე და, რო გეუბნებოდი ხოლმე შემ-

წახველ სალაროს მიაბარე მეთქი, რატო არ მიჯეროდი, იქ ხომ უშიშარ ალაგას გეშენებოდა, სარგებელსაც მიიღებდი თავსაც ახირებდი და მთავრობასაც ხელს გაუმართავდი ამ სასოფლო - სამეურნეო მანქანების შეძენაში. აი ამაზეა ნათქვამი: კაცი თავის თავს რომ უზამს, იმას მტერი ვერაო".

— ვაიმე, ეხლა მეც ვხვდები, რომ შევცდი, მაგრამ რალა ვქნა...

— სადღა მაქვს ქას..

— შენ ისე არ გამოგელეთა ფული, როგორც ჩვენებიანთ მართას თავში წილი. გეშენება მანდ სადმე ჩადებული!

— რას ამბობ, სად უნდა მქონდეს ჩადებული!..

— ჰმ...

— ოგ.

სიტყვა და საქმე

მას შემდეგ, რაც ექიმების საერთო კრებებმა დადგენილებები გამოიტანეს კერძო პრაქტიკის მოსპობის შესახებ, როცა აღიარეს, რომ ექიმობა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მახებისათვის, მეც სულ სხვა თვალით ვუცქეროდი ექიმებს და ჩემი სიმპატია მათდამი იზრდებოდა, თუმცა გულში კი ვფიქრობდი:

— ხუთუ ჩვენი ექიმები გაიქრობენ ფულის სიყვარულს და ნამდვილი საღი თვალით შეხედავენ ხალხის ჯანმრთელობის დაცვას?!

ყველაფერი კარგი აგიხდათ, მე მალე მარგუნა ბედმა შემემოწმებინა ჩვენი ექიმების სიყვარული მშრომელი მასებისადმი.

სუფთა მორთულ კაბინეტში დინჯათ იჯდა ექიმი ინგოროყვა და გაზეთს ათვალიერებდა.

— რაზე მოსულხართ?—შემეკითხა ის შესვლისთანავე.

— ბავში მიკვდება, უნდა მიშველოთ რამე!

ექიმი წამოდგა და დამიწყო თვალიერება. თავიდან ფეხებამდე რამდენჯერმე ამხედ-დამხედა-

— ალბად ვერ გაიგო,—ვიფიქრე მე,—იქნებ მე ვგონივარ ავათ... „ბატონო ექიმო, მე სრულიად ჯანშრთელი გახლავარ; ბავში მყავს ძალიან ავად და გთხოვთ...

— ბავში გყავთ ავად? ძალიან კარგი!

— კარგი რავაა, შენი ჭირიმე, კარგი კია არა, ვიტანჯებით, მიშველეთ რამე, წამყევით.

კიდევ ამხედ-დამხედა. ასწონ-დასწონა ჩემი შემოფლეთილი ძველი ხალათი და ფეხსაცმელები; შემდეგ ჩაჯდა სავარძელში, გაზეთი ხელში აიღო და შემომიბრუნდა.

— საქმეები მაქვს, თორემ წამოვიდოდი!—მითხრა მან და გაზეთის კითხვა განაგრძო.

— კი, მაგრამ ბავში რომ შეწუხებულია?—ძლივს მოვახერხე სიტყვის თქმა.

— მაგ შემთხვევაში მოდით ხვალ, ან ზეგ და წამიყვანეთ.

— ხვალ ან ზეგ, მაგრამ...

— ეხლა საქმეები მაქვს, ხომ გაიგეთ?!

— საქმეები! საქმეები!—ჩავილაპარაკე და გარეთ გამოვედი.

—ასე რავა წამოგყევებოდა,—მითხრა ერთმა გამოცდილმა მეგობარმა,—შვიდ მანეთს თუ არ დაანახვებ და ეტლს არ მიუყვან, ისე ფეხსაც არ დასძრამს.

— კი, მაგრამ ეთქვა იმ თჯახქორს!

— ალბად შეგატყო, რომ ღარიბი იყავ.

— მართლაც შემატყო, სწორედ იმიტომ მსინჯავდა ასე გულმოდგინეთ!

პ. ობოლი.

ინტერვიუ

გუშინ თქვენი თანამშრომელი ესაუბრა საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს (ალექსანდრე ჩერგოლეი'შვილი) შემდეგ საკითხებზე:

ტარტაროზკორი:—რომელ და რამდენჯერ ყოფილხართ გაწერილი გაზეთებში.

ჩერგოლეიშვილი:—ყველა გაზეთებში. რაც შეეხება, თუ რამდენჯერ, ამის გამოანგარიშება შეუძლია ქუთ. სტატგანყოფილებას.

— ალბათ გაზეთებში ცრუ კორესპონდენტებმა დასწერეს, ვითომ თქვენ რევოლვერი ესროლეთ ტუსაღს ბაღდათში?

— თუ ძმა ხარ, რომელი ვაკკაცი მოითმენდა, რომ ვილაც მასწავლებელი ცოლის დას შეპირდეს ცოლათ წაყვანას და არ წაიყვანოს! ასეთი თავხედობისათვის დატუსაღებულ მასწავლებელს ნაგანის ტყვია ვესროლე.

— რა მოგისაჯათ სასამართლომ ამ საქმისათვის?

— სასამართლომ ფსიქიურ ავადმყოფად მცნო და მომისაჯა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი ექიმობა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამის შემდეგ გადის ნახევარი წელიწადი და მე საბაზრო კომიტეტის გამგეთ გახლავარ.

— რომელი შემოსავლის წყაროდან აშენებთ თქვენს საკუთარ ქვის სახლს?

— მაგისთვის არც წყაროა საჭირო და არც ჭა. ავიღე დამწვარ ებრაელების უბანი, მივაყენე ნაცნობი მეურმეები და ვზიდე ჩემს სარდაფში თუნუქი, აგური და სხვა სააღმშენებლო მასალა. დღესაც ულეველი „ზაპასი"" მიწყვია.

— სოც. შეჯიბრის ხელშეკრულების დადებაზე რათ უთხარით უარი ბრიგადას?

— ჩემს დანიშვნამდე იშერდენ ძაღლებს (რამდენი საკოდავი ძაღლი გამოასალმეს ამ წუთიერ სოფელს მაგ მამაძაღლებმა). მე კი გამოვაცხადე ამნისტია და შევწყვიტე ძაღლების დევნა. შტატი დავფერთხე, მიჩივლეს და ყოველდღე სასამართლოებში დავიარები. მე და ჩემმა ბუჰგალტერმა (ყოფილი პრისტავია) ჯამაგირები მოვიმატეთ.

— საქართველოს მუშაკლეხნმა მოიწერა თქვენი მოხსნა თანამდებობიდან. რომ გამოიწვია ეს?

— მაგისთანა მოწერილობები მე ბევრი შემიჩერებია და, ალბად, კიდევ ბევრს შევაჩერებ.

ხლინტი.



ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ: — ისე ამოვსწურე კულტმუშაობა, რომ არც ერთი წრე აღარა მყავს.



— ორი კვირის წინედ აქ ხარჩო ვსჭამე, მშვეიერი იყო, ეს კი უვარგისია!

— საკვირველია! უვარგისი რატომ უნდა იყოს, როცა ეს სწორედ იმისი ნარჩენია!

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲭᲘᲛᲗᲐᲜ



— ეს რა მიყავ, ექიმო, რომ ჯანსაღი კბილიც ამომთხარე?!

— ამხანაგთან შეჯიბრი მაქვს გამოცხადებული, რომელი მეტს დავთხრით კბილებს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

ახალგაზრდა მხატვართა საყურადღებოდ

თქვენ ხშირად გვეკითხებით სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც გაუგებრობას იწვევს თქვენსა და რედაქციას შორის. ვინაიდან საოთათოდ არ შეგვიძლია პასუხი გაგცეთ წერილობით, გიპასუხებთ ჟურნალში:

ნახატი უნდა იყოს დახატული ტუშით სახატავ (ფანქრითაც შეიძლება) ქაღალდზე სუფთად და ლამაზად. ზომით არ უნდა აღემატებოდეს „ტარტაროზი"-ს ერთი გვერდის მეოთხედს, ანდა ნახევარს. (ომჯობინია ნაკლები ზომის).

ნახატის გამოგზავნა შეუძლია ყველას.

წარწერა და მხატვრის სრული ვინაობა უნდა ეწეროს იქვე (ან მეორე გვერდზე).

სასურველია სურათი გამოხატავდეს ადგილობრივ ცხოვრების რომელიმე ნაკლს.

რედაქცია უფლებას იტოვებს გამოგზავნილი მასალა შეასწოროს, ანდა მის მიხედვით თავის მხატვარს დაახატვინოს სურათი. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მხატვარი კარგავს ავტორობის უფლებას.

მონონრარი ახალგაზრდა მხატვრებს მიეცემათ განსაზღვრული სტაჟის შემდეგ.

ახლო ხანში რედაქციაში დაარსებულ კალკე იქნება გამოცხადებული. კონსულტაცია ხელმძღვანელობას გაუწევსდება კონსულტაცია, რომლის შესახებ ახალგაზრდა თანამშრომლებს მუშაობაში. „ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ".

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ „ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ"-Ს ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ
რᲯ. ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ
ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲕᲡᲗᲮᲝᲕᲗ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲝᲒᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

ლანჩხუთის წითელ სასადილოში სულზე იძლევიან ნახევარ ბოთლ ღვინოს. ზედმეტი ბოთლის დადგმა სუფრაზე აკრძალულია.



დ ე პ ე შ ე ბ ი

ორი სენსაცია

ჩოხატაური. მთელ ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ მამალაძის ქალი და მილიციელები... (დამახინჯებულია)... რომ ნაძალადევ საქმე... (გამოტოვებულია)... ხალხში დიდი მითქმა-მოთქმაა.

ინჟიდანვე. სამსახურის დროს სასადილოში ისიდორე უცბად აფეთქდა სიყვარულის აღტყინებისაგან და კაცი ფერფლად იქცეოდა, რომ იქვე არ გადაეკოცნა სონია.

ი—ო.

მშვიდობიანი თვითმკვლელობა

ბათომი. (მიღებულია დაგვიანებით ტელეგრაფის ხაზის დაგვიანების გამო). კომკავშირელებმა ვერა ვაზაკაშვილმა და ოლია გაბუნიამ რომანიულ ნიადაგზე თკითმკვლელობის განზრახვის გამო, სიყვარულს გარდა, დაჭარგეს კომკავშირის მანდატებიც.

აღა.

დაბრკოლება გადალახულია

თიანეთი. პოლიტგანის გამგემ ზაქარამ მოხსნა რადიო, რადგან ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა ძილზე. მოხსნის დროს ტრაღიკულად დაიღუპა ობობა, რომელსაც ქსელი ჰქონდა გაკეთებული რადიოზე.

ვალი.

„წითელი მუშტუკი"

სოხუმი. ჩამოყალიბდა მსმელთა და ყაფიალდელთა ახალი კორპორაცია. დამფუძნებელი კრება გაიმართა ადგილობრივ რესტორანში. კორპორაციას უწოდეს „წითელი მუშტუკი". გამგეობაში არჩეული არიან: მოსიძე, გაგუა, ბოკერია, გოგია და აროობელიძე.

ყარამანი.

თავდასხმა

სენაკი. 7 წლედის გაზგე ხუხუა თავს დაესხა მოწაფეთა კედლის გაზეთს, რომელიც ათვითკრიტიკებდა სკოლის საქმიანობას. დახეული გაზეთი მის მიერ მოთავსებულია... („უცენზურო" სიტყვა ამოღებულია). „ასეთი გაზეთის ადგილი სწორედ იქ არისო!—იძახდა გაბრაზებული გამგე.

მო—რე.

ხანგრძლივი გარდაცვალება

საჭამიასერი (გურია). კუჭის სიმსივნისაგან გარდაიცვალა ადგილობრივი გლეხკომის სასადილო. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათიდან სასადილო „წიკოოპში".

კი—ნი.

მარშრუტის შეცვლა

ქიათურა. გოგიამ და იაგორამ რამდენიმე ათასი მანეთი „მოაგროვეს" და ის იყო აგარაკზე აპირებდენ გამგზავრებას, რომ მოულოდნელად „გეპეუს" თანამშრომლები გამოეცხადენ და აგარაკის მაგიერ, გამსახლში უკრეს თავი.

გ—ი.

თანამშრომლებს და მკითხველებს!

ჟურნ. „ტარტაროზი"-ს რედაქცია მიზნად ისახავს, რომ მკითხველთა ფართო მასებმა მონაწილეობა მიიღონ ჟურნალის ყოველ ნომერში. **თვითეული ნომერი უნდა წარმოადგენდეს მკითხველთა და თანამშრომელთა კოლექტიურ შემოქმედებას.** ამ მხრივ რედაქციას საკმაო მიღწევები აქვს: ჟურნალის გარშემო შემოკრებილია ახალგაზრდა მწერლები და მხატვრები, რომლებიც დიდ მონაწილეობას ღებულობენ თვითეულ ნომრის შედგენაში.

დარჩენილი იყო ჟურნალის შინაარსის ერთი მხარე—სურათების თემა.

აქამდე სურათების თემა უმთავრესად მზადდებოდა რედაქციაში მომუშავე თანამშრომლებისაგან. **ამ ნაკლის გამოსასწორებლად რედაქცია მოუწოდებს თავის კორესპონდენტებს და მკითხველებს — მოგვაწოდონ თემები სურათებისათვის, რისთვისაც მიიღებენ ჰონორარს.** ჩვენი თანამშრომლები ვალდებული არიან ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციონ, ვიდრე ეს დღემდი იყო.

ᲣᲑᲠᲣᲚᲘ ᲧᲛᲐᲜᲘ

ᩩᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲛᲐ



ᲬᲘᲗᲔᲚ ᲒᲐᲜᲬᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲣᲚᲘ
ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ „ᲑᲠᲫᲔᲜᲘᲐ:“
ისპანახის კონები
თურმე შეუძენია.
მაგრამ ნორმით გაყიდა
და გრამობით გაუშვა,
ნახევარი დალპა და
სანაგვეში ჩაუშვა.



მუშკოპშია, სალაროში,
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ
ფულის გუდა, მახე ფულის,
ამქაფავი, ამხვეტელი.
ბამბაზიის ფულის შეჭმით
მან სახკვებაც ასახელა
და დღეს ისევ საქათმეში
დათარეშობს წუწკი მელა.

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ,—ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ—
ნომერ პირველს, საწყობს,
ლორთქიფანიძე განაგებ
და იშკილებს აწყობს:

საქონელი გაყიდა და
მიითვისა „ფარა“,
მაგრამ გამგემ მითვისება
მაინც არ იკმარა,—
თანამშრომლებს დაერია,
იმუქრება მუდამ,
ამისთანა „ბეჯით“ გამგეს
ნაბადი და გუდა!

—

გაიცანით!
ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
„გლავბუხია“,—ხვიჩია!
მლიქვნელი და პროტექტორი
ინტრიგანი ბიჭია!

—

ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ—ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ
ᲕᲐᲭᲐᲠᲘᲐ „ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ“,
ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ
ᲒᲐᲛᲒᲔᲗ ᲐᲠᲘᲡ
„ᲬᲐᲛᲝᲙᲕᲐᲠᲐᲮᲭᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ“.

—

ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ



ᲐᲘ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲡ
„ᲞᲐᲠᲝᲩᲩᲐ“ ᲙᲐᲓᲔᲕ,
ᲝᲠᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ,
ᲢᲝᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ,
თვალი და ბურჯი
ᲩᲕᲔᲜᲡ „ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“,—
ᲐᲠᲝᲜᲔᲨᲘᲫᲔ,
ᲙᲔᲛᲣᲚᲐᲠᲘᲐ.

—

ᲩᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲛᲣᲨᲙᲝᲞᲘᲡ
პასაუში ნახავთ ხშირადა,
იქ თანამშრომლობს, თუმც შრომა
არ მიაჩნია ჩირადა;
ყოყოჩობს, ისე ყოყოჩობს,
რომ დაამყარა რევანში
და დროს ატარებს „ტიტინში“
და პაპიროზის წევაში.

ᲐᲛ ᲡᲠᲔᲙᲣᲚᲘᲐᲜᲢᲡ ᲮᲝᲛ ᲘᲪᲜᲝᲑᲗ
ᲮᲣᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ?!
ᲣᲚᲐᲠᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲙᲝᲞᲡ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲡ:
— „ᲡᲐᲮᲙᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲨᲘᲐ“.

ეშმაკი სტუმარი და ჭკვიანი მასპინძელი

გიგოს 95 მანეთი ჰქონდა თვეში ჯამაგირი. ცოლის გარდა სხვა არავინ ყავდა სარჩენი. მოყვრები და ნათესავები არ აწუხებდენ. მხოლოდ ერთი შორეული ნათესავი ქორუტა სცხოვრობდა მახლობელ სოფელში.

ყოველ კვირა დღეს ქორუტა ცხენით გამოუვლიდა ხოლმე გიგოს და კეთილი, ნათესაური გრძნობით მოინახულებდა.

ქორუტა კარგა შეძლებული გლეხი იყო—კულაკი. კვირაობით ქალაქში ბაზარზე სურსათი და წვრილფეხი საქონელი მოჰქონდა გასასყიდათ. დილით, სოფლიდან მომავალი მისი ცხენი დატვირთული იყო ხოლმე, შუადღისას კი—თითონ ქორუტა და მისი ჯიბეები ფულით.

გაყიდიდა თუ არა ქორუტა თავის საქონელს, გიგოს ჩამოუარდა შუადღისას, ფანჯარაზე დაუკაკუნებდა და ისედაც დაღრეჯილი, კიდევ უფრო დაიღრიჯებოდა გიგოს დანახვაზე.

გიგოს კი მისი დანახვა გულს უსიებდა.

— მოვიდა მაინცდამაინც სადილობის დროს, უნდა ჩაძაჭამოს სახლი! ბურდღულებდა გიგო თავისთვის და უგულოდ ეპატიჟებოდა ძუნწსა და გაიძვერა ქორუტას.

მართლაც, მზე რომ გადიხრებოდა, კარგად გამომძღარი ქორუტა კარგათ ყოფნას უსურვებდა გიგოს და არხეინად თავისი ბედაურით სახლისკენ გასწევდა.

მობეზრდა გიგოს ასეთი ურცხვი სტუმარი.

— ეს ტუტუცი ერთხელ მაინც მოიტანდეს რამეს: ფხალს, ან ერთ წიწილას, ყოველ კვირას რომ ვაკრობს და ჩემს ხარჯზე გამოდის! ღორის შვილი, უნამუსო.—იგინებოდა გიგო.— არა, ერთი ასეც უნდა ვქნათ, ქალო, მოდი ნუ გამოიტან სადილს, მარა ის ხომ არ წავა სადილის გამოტანამდე და მანამდე მეც მოვკვდი შიმშილით. ფუ, უზრდელი!

ბევრი იფიქრა გიგომ, რომ ასეთი სტუმარი თავიდან მოეშორებინა.

გათენდა კვირა დილა თუ არა, გახარებული გიგო მივარდა ჯერ კიდევ მძინარე ცოლს და ორივე ხელებით შეანჯღრია.

— მარიამ, მოვიგონე, მოვიგონე, ქორუტას საწინააღმდეგო წამალი. სტუმაევდა გახარებული გიგო.

— აი, მობრძანდეს დღეს ის ღორმუცელა, ნახე როგორ მოვიშორო!—და გულისფანცქალით ელოდა ქორუტას მოსვლას.

— ოოო, ქორუტას ვახლავარ, ჩემს ქორუტას.—შეხვდა არაჩვეულებრივად მხიარული გიგო ქორუტას და სახლში მიიწვია.

— დღეს რაღაც ცოტა დაიგვიანე, —მიმართა გიგომ სტუმარს, მიუხედავათ იმისა რომ სტუმარი ჩვეულებრივათ გამოცხადდა დანიშნულ საათზე.

— რაღაც საქმე მქონდა ბაზარში და ამიტომ!—გაუმართა ქორუტამ.

— ჰოო, მე კი ვიფიქრე, რომ ქორუტა დღეს ადარ მოვათქო და სადილი შეგასწარით; ესეცაა გავათავეთ. ამიტომ, ჩემო ქორუტა, ბაზრიდან როცა ბრუნდები, მაშინ კი არ უნდა გამოიარო ხოლმე, არამედ დილით სავაჭროთ ბაზრისკენ რომ მიდიხართ. მაშინ შეცოდინება, რომ შენ გამოივლი, სადილსაც შევამზადებ და დაგიცდი კიდეც.

— ჰო, მართალი ხარ, ჩემო გიგო, მართალი!—ჩაილულღლუდა ქორუტამ. მას ვერაფრათ ეპიტნავა გიგოს რჩევა.

რას იტყვი მკითხველო, გამოუვლიდა დილით ქორუტა გიგოს თუ არა?

რასაკვირველია—არა. დილას ბაზრისკენ მიმავალი სურსათ-საბოვაგით, გოჭებით, ქათმებით და ხილით დატვირთული ძუნწი ქორუტა გიგოს არ გამოუვლიდა.

გიგომ აბეზარი სტუმარიც თავიდან მოიშორა.

კომბალა.

„დამკვრელი“

ჩვენს პატარა მეჯვრის ხევში,
კოლექტივი არი,
და იმისი ხელმძღვანელი
ქოჩორაძე არი.
მას ფულები ძალზე უყვარს,
ჭამაშია ჩქარი,
თუ მინდორში რა კეთდება
არის უმეცარი.
ვენახები მოსაწამლი,
გაფუჭებას არი;
ნაცვლად როსტომ ჩიკოიძისას
ქოჩორაძე არი.
ყოყლოჩინა, კუდაბზიკა
სულ სხვა ბიჭი არი.
ფეხით იგი არსად წავა,
მერანი ყავს ჩქარი.
მერანს მინდვრად არ გააგდებს,
შუა ბაღში არი.
საცა ნამყენს მიუდგება
მისი ნება არი.
რაც ვანომ ჭქნა ქოჩორაძემ
სულ ზედმეტი არი.

ბრიგადელი № 30.

თიანეთი

თავმოყვარე
თავმჯდომარე
არის ჩვენი კოწო.
ჭამის მადა მას დიდი აქვს,
უყვარს: ერბო, კილო.
ამას წინედ გამოართვა
გლეხს ერბო და ყველი;
(უიმათოთ უშრეგბოდა
კოწოს ხახა-ყელი).
შვიდი კილო ჭკინტი ყველი;
ორი კილო ერბო
გლეხის მიერ „დათმობითა“
ათ მანეთად ერგო.
შიშისაგან ალმასკომში
შესვლა უმძიმთ გლეხებს.
ხასიათზე თუ არ არის
აბრაგუნებს ფეხებს.
ტარტაროზო, ინახულე
თიანეთი ჩვენი;
დამერწმუნე—კიდევ ბევრი
გაგატანო ძღვენი.

მცოდნე.

ტკბილი სიზმარი

მუშკოოპის ერთ-ერთ სავაჭროს გამგეს თავის კაბინეტში ეძინა. შიკრიკი მორიდებით შეეიდა შგ დაწინ ბარათი დაუდო.

სავაჭროს გამგეს ამხ. მდევარაძეს.

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მუშკორების წმენდა. გთხოვთ აუცილებლად მობრძანდეთ, რადგან თქვენ შედიხართ გამწმენდ კომისიის წევრათ. გამწმენდი კომისია.

გამგეს ულვაშებში ჩაეცინა. ეხლა კი ჩემს ხელში ხარ. აბა ნახე რა დღე დაგაყენო ჩემი გაზთში ტყუილად გაწერისათვის.—ფიქრობდა გამგე.

კომისიის თავმჯდომარემ გახსნა კრება და გააცნო საზოგადოებას მუშკორთა წმენდის მნიშვნელობა.

მდევარაძე ცქმუტავს, ეჩქარება მისი „საკბილო“-ს გამოძახება.

— კალამაძე!—გაისმა ხმა.

— აქ ვარ.—დაიძახა მუშკორმა. კალამაძემ დაიწყო თავისი ბიოგრაფია.

შეკითხვები მიაყარეს.

წამოდგა მდევარაძე და დაიწყო—ამხანაგებო, კალამაძე ჩვენთვის მოუღებელი ელემენტია. რადგან ერთგულ მომუშავეს ცილს სწამებს და მათ შესახებ გაზეთებში ათავსებს წერილებს. ამისათვის მე მოვითხოვ, რომ მოხსნილი იქნეს მუშკორობიდან.

ირგვლივ ტაში გაისმა.

ტაშის ხმაზე გამოეღვიძა გამგეს, დაიხედა წინ და დაინახა უწყება.

გახსნა და წაიკითხა::

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეთა წმენდა. თქვენი გამოცხადება სავალდებულოა, რადგან წმენდაზე დღეს უნდა გატარდეთ.

— ეს ცუდი ნიშანია. ალბად ის მუშკორი გამოვა ჩემს წინააღმდეგ. მომხსნიან!—ოიოიავდა გამგე და ბოლთას სცემდა კაბინეტში.

ყალმოხანი.

უფროსის დამოკიდებულება ხელქვეითისადმი

სამსახურში და სახლში

გ ო დ ო რ ი

იაჟეს (სამტრედია). ვასრულებთ თქვენს თხოვნას:

„აალ დანიშნული ვარ და ნუ მიპასუხებთ ცუდად გოდორში, თორემ, შესაძლებელია საცოლემ დამტოვოსო“.

ჯაჭვის ხიდელს. ნუთუ მართლაც თქვენი თავის საკუთარი შემოქმედებაა ასეთი მარგალიტი?:

ხშირადა ხვდება ამგვარი ამბავი:
არ ჩამოსულა კაცი კონკიდან,
სწრაფად მივლიან, ხელსა სტაცებენ
გადასახდელად მიჰყავთ შტრაფიზა.

ჩვენც დავაჯარიმეთ თქვენი წერილი დაწუნებით. მაგრამ რადგანაც მან ეს იუკადრისა, ამიტომ გოდორში გავგზავნეთ.

აღარ არის „ზემელი“, აღიგვა ბირისაგან მიწისა, არც ტრამვაის ბილეთებია „ზემელამდე“. თუ თქვენ ეს არ გჯერათ, ჩაჯექით ტრამვაის ვაგონში და მოინახულეთ „ნაზემელარი“.

გერმეტიულს (ბორჯომი). წერილის სიგრძეზე სჩანს, რომ ისვენებთ და სხვა საქმე არა გაქვთ, მაგრამ თუ თქვენ ისვენებთ, ჩვენ რა დაგიშავეთ, რომ გვაიძულებთ ამოდენა წერილი თავიდან ბოლომდე გადავიკითხოთ, რომ შიგ ერთი სახუმარო ადგილი მაინც ვნახოთ.

დ. ზოლაპნელს. ნუ ელოდებით, არ დაიბეჭდება.

პოსტელს (ქუთაისი). ჩვენი ლოზუნგია შოთას სიტყვები:

„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის
შაირია ამით კარგი“.

რვა ფურცელზე გაგიჭიმავს
ეს მასალა არა-ვარგი.

მაგრამ ამოდენა ნაშრომი რომ არ დაგგკარგოთ, უკანვე გიბრუნებთ თქვენს ისტორია-პოემას... უკაცრავად, ხელმოწერა გაუტკვეველია და ამიტომ ვეღარ გიგზავნით.

შალვა შამფრიანს (თუ შამფურიანს?). შე კაი კაცო, ასეთი ცუდი ლექსის დაწერა თუ არ შეგრცხვა, რად შეგრცხვა მასზე ნამდვილი გვარისა და სახელის შოწერა? ტარტაროზი ავტორების ვინაობას არ ააშკარავებს.

ახალგაზრდას (ზეათურა). ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება. საჭიროა ავტორის სრული ვინაობა. ხელმოწერა უნდა იყოს ყოველ წერილის ბოლოში.

მიხ. ძმარაძეს. ასეთი გრძელი მასალა ჟურნალისათვის გამოუსადეგარია.

დუგეშს (მახინჯაური). სასადილოში ცუდი კერძი გიჭამიათ და:

მუცლის განკურნებისათვის
ვერ ვპოულობ ვერსად ყავეს,
მხოლოდ მაშინ ვიკურნები,
როცა ვნახავ სისუფთავეს.

აი, ამ შემთხვევის შემდეგ თქვენ გაგიზრახავთ პოეტობა დაგეწყოთ. საძირკველი ძალიან ცუდია.

მსურს ტარკორად რომ შევიქნე,
და მიცნობდეს ყველა ერი.
გავარჩიო შავისაგან
მოკაშკაშე თეთრი ფერი.

რა ამდენი ხლაფორთი უნდა შავისაგან თეთრის გარჩევას? შაქარი თეთრია, პური კი შავი.

ბიჭუნას (სოხუმი). სატარტაროზო მასალა უნდა იყოს ძალიან მოკლე და იუმორისტული. (ეს ხომ მთელი ნომრის მასალაა!).

კალმოსანს (აქვე). ჩოდრიშვილის ქუჩაზე მდებარე № 1 სახლის შესახებ გვწერთ და უსაყვედურებთ № 51 ფაქტს:

ინგრევა სახლი, ინგრევა ეზო,
მაგრამ მშველელი არავინ არ ჰყავს.
ეზო სავსეა ნაგვით და ჩეჩქით
ხშირად შეხვდებით ძაღლის თავს და ტყავს.

რაკი ძაღლის თავი დაუმარხავი ყოფილა, როგორ არ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ თუ „სად მარხია ძაღლის თავი“? მიზეზი ფაქტის აგენტის თქვენს ეზოში მოუსვლელობისა, ალბად ის უნდა იყოს, რომ ეზო და სახლი აყროლებულია“.

ტოლიას. თემა შაბლონიურია. სინჯეთ აქტუალურ საკითხზე, დასწერეთ ძალიან გარკვევით.

Библиотека-Музей имени Акад. Н. Марра

სოც.-დემოკრატი: — მუშებს არ იცავთო! ეს ცილისწამებაა... განა ეს დაცვა არ არის?!

რედ. სარედ. კოლეგია, გაზ. „მუშას“ გამოცემა. მთავლ. № 1319.